სამოქალაქო საზოგადოება

ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი

გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი

საგაზეთო ჩანართი №9

საგაზეთო ჩანართი „სამოქალაქო საზოგადოება“ კვლავ თქვენს წინაშეა, რომელიც პროექტის **„თვითმმართველობის ეფექტურობის გაძლიერება მოსახლეობის ინფორმირების ახალი მეთოდების გამოყენებით“** ფარგლებშია მომზადებული. პროექტს ახორციელებს **ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი „გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრთან“ პარტნიორობით.**

პროექტის მიზანია ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესება, მოსახლეობის ინფორმირების ახალი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.

ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობს თვითმმართველობის საქმიანობით დაინტერესებული პირების მონაცემთა ბაზის შექმნა. **გაფორმებული ანკეტა-მემორანდუმზე** დაყრდნობით ინფორმაცია დაინტერესებული პირების შესახებ აისახება შესაბამის მონაცემთა ბაზაში, სადაც თითოეული პირის შესახებ მითითებული იქნება მობილურის ნომერი და ინტერესთა სფეროები თვითმმართველობის მიმართულებით.

სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, კომისიების თუ საკრებულოს სხდომების დანიშვნიდან 1-2 დღით ადრე, საკრებულო მოახდენს შესაბამისი ინტერესთა ჯგუფებისათვის მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) დაგზავნას, სხდომების დღის წესრიგის შესახებ, თარიღის, დროის, ადგილის მითითებით.

მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირება შეგიძლიათ ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდებზე: **http://www.lanchkhuti.org.ge/; http://chokhatauri.ge/**

გამოცემის ამ და შემდეგ ნომრებში შემოგთავაზებთ საინტერესო მასალებს გურიის ისტორიიდან, რომლებიც თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალებების მიმდინარეობას ასახავენ. მასასალები აღებულია ГРИГОЛ МАХ-ARAZИს ინტერნეტ-ბლოგიდან www.aboutguria.blogspot.com/

ლევან მჟავანაძე,
პროექტის კოორდინატორი

გურიის სკოლების ისტორია

მასალა აღებულია ГРИГОЛ МАХARAZИს ინტერნეტ-ბლოგიდან
www.aboutguria.blogspot.com

სასულიერო-სამრევლო სასწავლებელი. პირველი საჯარო სკოლის ძველი კორპუსი. საბოლოოდ დაანგრიეს 2008 წელს

გურია XIX საუკუნეში გამოირჩეოდა სკოლების რაოდენობით, ხოლო გურულები - სწავლა-განათლებისადმი მისწრაფებით. „პეტერბურგის უწყებანი“ წერდა, რომ არამცთუ ამიერკავკასიაში, არამედ რუსეთის მოწინავე გუბერნიებშიც კი ვერ შეხვდებით მოსახლეობის პროცენტული რაოდენობის მიხედვით იმდენ განათლებულ ადამიანს, რამდენსაც ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრაში. ამავეს წერდა „საქართველოს კალენდარი“ 1895 წელს: მთელს საქართველოში წერა-კითხვის ცოდნაში პირველი ადგილი ოზურგეთის მაზრას უჭირავს, მეორე კი რაჭის მაზრასო.

სასულიერო-სამრევლო სასწავლებელი

1846 წელს დაარსდა გურიის სასულიერო სამრევლო სასწავლებელი. სასწავლებლის ზედამხედველი 1854 წლიდან იყო დეკანოზი სვიმონ ქიქოძე, ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის ძმა. წყაროების მიხედვით ზედამხედველი მეფის რეჟიმის ერთგული მსახური იყო. ქიქოძე ამავდროულად იყო მასწავლებელი გურიის საქალაქო სასწავლებელში, დეკანოზი გურიის კათედრის სობოროში, ბლაღოჩინი ეპარქიაში, ბახვის სოფლის სასწავლებლის მზრუნველი, პირუტყვების ექიმი. ქიქოძეს სურდა სკოლა საკუთარი შემოსავლის წყაროდ ექცია და სასწავლებელი საკუთარ სახლში მოათავსა, რათა მოსწავლეთა მშობლებისაგან ბინის ქირა აეღო. სკოლა იქცა ქიქოძის კერძო დაწესებულებად, მოსწავლეები მუშაობდნენ მის ბაღსა ბოსტანში, უვლიდნენ შინაურ ცხოველებს. ეს გარემოება უკმაყოფილებას იწვევდა მოსწავლეებში.

მისი ფინანსური საქმიანობით უკმაყოფილო 40-მა მღვდელმა 1870 წლის გაზაფხულზე გაბრიელ ეპისკოპოსს თხოვნით მიმართა: ჩვენ ორ მღვდელს ავირჩევთ სასწავლებლის მზრუნველად, ქიქოძეს ზონარგაყრილ ბეჭდიან წიგნს მივცემთ შემოსავალ-გასავლის ჩასაწერად და გასაკონტროლებლადო, ხოლო ყველა ხარჯზე ჩვენი ხელმოწერა აუცილებელი იყოსო. შემდგომში, 1876 წლის 22 ნოემბერს ქიქოძის უკმაყოფილო მღვდლები დაუკითხავად შეიჭრნენ შენობაში და მოითხოვეს ეკონომიკური ანგარიშის ჩაბარება.

სასწავლებელი მოთავსებული იყო ქიქოძის ორსართულიან ხის სახლში (იქ, სადაც დღეს ფოსტის შენობა დგას). სასწავლებელს ეჭირა ხუთი ოთახი ამდენივე კლასისთვის პირველ სართულზე და ზემო სართულში მოთავსებული იყო არქივი. შენობას არ ქონდა კარები, ფანჯრები, ჭერი, ბუხრები იყო მხოლოდ პირველ სართულზე, მეორეზე კი ადიოდა კალმები.

სასწავლებელი 1874 წელს გადააკეთეს სამკლასიან, ხოლო 1876 წელს ოთხკლასიან სასწავლებლად. 1876 წელს თბილისის სასულიერო სემინარიისადმი გაგზავნილ წლიურ ანგარიშში ნ. ტატიშვილი წერდა, რომ ოზურგეთის სამრევლო სასწავლებელში სწავლა-აღზრდის საქმე ჩამორჩენილია, საჭიროა იქ დავნიშნოთ სემინარია დამთავრებული ხალხი, რომ ავამაღლოთ ოზურგეთის ჩამორჩენილი დონეო. 1876 წლის სექტემბერში სკოლას შეემატა რამდენიმე შესაფერისი უნარის მქონე მასწავლებელი, მათ შორის იყო თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული ახალგაზრდა მასწავლებელი ივანე ლიაძე, რომელიც სამეგრელოდან მიავლინეს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში ინსპექტორად. მასთან ერთად სკოლაში მივიდა მასწავლებელი ანდრო ბენაშვილი. ამ ცვლილებას მოსახლეობა სიხარულით შეხვდა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ უწესრიგობას და ჩამორჩენილობას ბოლო მოეღებოდა. ლიაძე სემინარიელი ახალგაზრდების იმ ჯგუფს მიეკუთვნებოდა, რომელიც გატაცებული იყო პროგრესული ლიტერატურით. ის აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „დროებაში“. ახალგაზრდა ინსპექტორმა სცადა სასწავლებელში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამოსწორება. მან ამხილა დეკანოზ ქიქოძის თვითნებობა და მოსწავლეთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

1877 წელს ზედამხედველმა მოითხოვა დაეცალა სკოლას სახლი და ეს მაშინ, როცა ყველა შენობა დაკავებული იყო რიონის რაზმების მიერ 1877-78 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომის გამო. სასულიერო სასწავლებელს დიდ დახმარებას უწევდა გრიგოლ გურიელი. გურიელმა საკუთარი სახლი, რომელიც სპეციალურმა კომისიამ 28 ათას მანეთად შეაფასა, 13 ათასად მიჰყიდა მთავრობას სასულიერო სასწავლებლისთვის. სასწავლებელი ზედამხედველის სახლიდან გურიელის სახლში გადავიდა სერზე 1878 წლის შუაში.

სასწავლებელი ხშირად იყო მაშინდელი პრესის კრიტიკის საგანი.

ივერია, 1878, 12 იანვარი, N2, გვ 1-3

„ეს იყო ერთადერთი სასწავლებელი მთელს გურიაში. მასზე დიდ იმედს ამყარებდა სამღვდელოება. მაგრამ საუბედუროდ ეს პირველი ნაბიჯი განათლებისა მრუდე გზით წავიდა. მან ვერ აღასრულა თავისი დანიშნულება“.

დეკანოზი ქიქოძე კი ეპისკოპოსთან ჩიოდა, რომ მღვდლები უკანონოდ მოქმედებენო და საკუთარი გაიტანა კიდეც. მან ასევე შეძლო მოსწავლეთა მფარველი მასწავლებლის თავიდან მოცილება. 1878 წლის თებერვალში სასწავლებლის გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება ლიაძის გაძევების შესახებ. ლიაძის მოხსნამ მოსწავლეთა უკმაყოფილება გამოიწვია, ისინი გაიფიცნენ და ერთ დღეს სკოლაში სრულიად არ გამოცხადდნენ; გაფიცვის მიზანი იყო საყვარელი მასწავლებლის უკანვე დაბრუნება და სწავლის პირობების გაუმჯობესება. ინფორმაცია მოსწავლეთა გაფიცვის შესახებ მთელ პრესას მოედო. გაფიცვების ორგანიზატორები ნინოშვილი და ჯიბლაძე სასწავლებლის ადმინისტრაციამ 1878 წლის სექტემბერში გარიცხა.

ლიაძემ თავისი სიმართლე მაინც დაადასტურა, რევიზორმა, თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელმა თედორე ფავორსკიმ აღწერა ის სიტუაცია, რაც სასწავლებელში იყო. ლიაძე დააბრუნეს, ქიქოძეს კი საყვედური გამოუცხადეს. იმავე წელს კიდევ ერთმა რევიზორმა გრიგორევსკიმ კიდევ უარესი დასკვნა დაწერა ქიქოძის საქმიანობათა შესახებ. მისი დასკვნის საფუძველზე მოხსნეს ქიქოძე.

1896 წლის 1 იანვრისთვის სასწავლებელში 208 მოსწავლე ირიცხებოდა. მის შენახვაზე გურიის სამღვდელობა წელიწადში 11 120 მანეთს ხარჯავდა

1910 წლისთვის სასწავლებელში გალობას ფილიმონ ქორიძე ასწავლიდა. 1917-1922 წლებში სასწავლებელს ოზურგეთის გიმნაზია ეწოდა. 1918 წლის 18 დეკემბერს ოზურგეთის გიმნაზიის გამგე განათლების მინისტრს დეპეშით ატყობინებდა მასწავლებელთა გაჭირვების შესახებ, მასწავლებლებს 4 თვის ხელფასი ჰქონდათ მიუღებელი.

1922 წლიდან მას ეწოდა N1 შვიდწლიანი სკოლა და 1928 წელს შეიერთა საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეების ნაწილი. დღეს სკოლას N1 საჯარო სკოლა ეწოდება.

დასასრული მე-2 გვ.

გურიის სკოლების ისტორია

დასასრული

სამაზრო (საქალაქო) სასწავლებელი

ოზურგეთში პირველი სამაზრო სასწავლებელი ოფიციალურად გაიხსნა 1850 წლის 21 თებერვალს. სასწავლებელი მოთავსებული იყო ოზურგეთის სამხედრო სკოლისათვის ახლადაგებულ შენობაში. სასწავლებლის გახსნის ინიციატორი, მმართველი და მოსამზადებელი კლასის მასწავლებელი იყო თავადი ივანე გიორგის ძე ნაკაშიძე, მგალობელ მელქისედეკ ნაკაშიძის ძმა. სასწავლებლის ზედამხედველი იყო ივანე განგესოვი, საღვთო სჯულისა და ქართული ენის მასწავლებელი იყო გიორგი ქიქოძე.

1860 წელს წერს ბარონი ნიკოლოზი, რომელსაც დაუთვალიერებია ქუთაისის გუბერნიის სკოლები მეფისნაცვლისადმი მოხსენებაში წერდა: „ოზურგეთის ორწლიანმა სასწავლებელმა ყურადღება მიიქცია თავისი მრავალრიცხოვანი 150 მოსწავლით“. 1870 წელს სასწავლებელი გადაკეთდა სამკლასიანად.

1874 წლის პირველ ივლისს სამაზრო სასწავლებელი ექვსკლასიან საქალაქო სასწავლებლად გადაკეთდა. 1875 ითვლებოდა 175 მოსწავლე და 4 მასწავლებელი. ამ პერიოდში იზრდებოდა ინტერესი სწავლა-განათლებისადმი. „წელს ოზურგეთის სასწავლებელში მისაღებად იმდენი ბავშვი მოგროვდა, რომ მთელი ოზურგეთი გააკვირვა“ – წერდა „დროება“. 1877 წლიდან სასწავლებელი ოთხკლასიანი გახდა.

1880-იან წლებში სკოლის დირექტორი იყო ბირშეტი. მას ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლის დირექტორმა არლოვმა მიანდო ოზურგეთში საქალებო სკოლის გახსნა, რომლისთვისაც 1000 მანეთი იყო შეგროვებული. თავდაპირველად ამ საქმეს ხელმძღვანელობდნენ სოფიო გურიელისა და მაკა წულუკიძისა. ფული მაზრის უფროსს, ოტია დადიანს, ჰქონდა მიბარებული, მაგრამ ქალები არ სთხოვდნენ, ვაითუ არ ეწყინოსო. მას შემდეგ, რაც საქმე ბირშეტს მიანდეს, მან ფული დადიანს გამოართვა და პირადი საჭიროებისთვის მოიხმარა. ამისთვის მხოლოდ 10 დღე დატყვევევება მიუსაჯეს.

1890-95 წლებში სკოლაში ასწავლიდა ივანე გომელაური. მან 1895 გამოსცა საბავშვო წიგნი „საჩუქარი“. 1896 წლისთვის სასწავლებელში სწავლობდა 303 მოსწავლე. წლიური ხარჯი იყო 8205 მანეთი.

1917-1928 წლებში საქალაქო სასწავლებელი განთავსებული იყო დიმიტრი გურიელის სასახლეში. 1928 წელს სასწავლებელი გაიყო ორად. მოსწავლეთა ერთი ნაწილი შეუერთდა ყოფილ სასულიერო სასწავლებელს სერზე, ხოლო მეორე ნაწილი გადავიდა ზვანის სკოლაში.

1921-34 წლებში მას ოზურგეთის N1 შვიდწლიანი სკოლა ერქვა, ხოლო 1934-36 წლებში სახელწოდებაში „შრომის სკოლა“ დაემატა. 1936-38 წლებში N1 არასრული საშუალო სკოლა ერქვა. 1938 წლიდან ეწოდა მეორე საშუალო სკოლა. 1945-54 წლებში ქალთა სკოლა იყო.

ზვანის სკოლა

1900 წელს ზვანში, რომელიც უკვე ქალაქის გარეუბანი იყო, გაიხსნა დაწყებითი, ორკლასიანი სკოლა. სკოლისთვის შენობა ვერ გამოიძებნა, ამიტომ ის კერძო სახლებში განთავსდა. კლასების ნაწილი სწავლობდა კესარია კვაჭაძის სახლში ნატანების (კოსტავას) ქუჩაზე, ნაწილი კი მოსე ტუღუშის სახლში (ლესელიძის ქუჩა). მოგვიანებით, მოსწავლეთა რაოდენობის ზრდის გამო აშენდა ხის ერთსართულიანი სახლი ექვსი საკლასო ოთახით ზვანის ჩაის ფაბრიკის შენობის აღმოსავლეთით. ზვანის ორკლასიან სასწავლებელში სწავლობდნენ კონსტანტინე ლესელიძე და პორფილე ჩანჩიბაძე. ზვანის სკოლის მემკვიდრეა ქალაქ ოზურგეთის N3 საჯარო სკოლა.

ქალაქის სხვა სკოლები

1879 წელს ოზურგეთში გაიხსნა ქალთა ერთკლასიანი სკოლა, რომელიც 1882 წლიდან ორკლასიანი გახდა და სადაც ნინო ქიქოძე და მარიამ დემურია ასწავლიდნენ. ამ სკოლაში სწავლობდა ნინო ნაკაშიძე. 1896 წლისთვის აქ სწავლობდა 112 მოსწავლე. წლიურად მისი შენახვა 1400 მანეთი ჯდებოდა.

1893 წელს გაიხსნა სამრევლო სკოლა. 1896 წლისთვის იქ სწავლობდა 58 მოსწავლე.

1895 წლისთვის ოზურგეთში უკვე ოთხი სასწავლებელი იყო. სულ მათში სწავლობდა 681 მოსწავლე, რაზეც იხარჯებოდა 20 145 მანეთი.

თედო სახოკია:

„ოთხი სასწავლებელი ემსახურება ამჟამად სწავლა განათლებას ოზურგეთში: სასულიერო ოთხკლასიანი სასწავლებელი, საქალაქო სასწავლებელი, საქალებო სკოლა და სამრევლო სასწავლებელი. ყველაზე ხნიერი ამ სასწავლებლებში სასულიერო სასწავლებელია, დაარსდა 1846 წელს. მეორე ადგილი უჭირავს საქალაქო სასწავლებელს, რომელიც სამაზრო სასწავლებლიდან გადაკეთდა“.

სკოლები სოფლად

სოფლებში ძირითადად, პირველდაწყებითი, ორკლასიანი სკოლები იხსნებოდა. დაწყებითი სკოლების გახსნის უფლება 1861-64 წლებში მიღებული დებულებებით მიეცათ სასოფლო საზოგადოებებსა და ერობებს სასწავლო ოლქის ნებართვით.

1859 - ძიმითი (მამათი)
1868 - ჯუმათი
1872 - ნიგოითი, ასკანა
1873 - ლანჩხუთი, ლიხაური, ბასილეთი, ჩიბათი, შემოქმედი
1874 - ბახვი
1876 - აკეთი
1879 - ჯურუყვეთი, დვაბზუ
1880 - ამაღლება
1883 - ხვარბეთი
1884 - ჩოხატაური
1885 - მიქელგაბრიელი
1887 - ჯვარცხმა, სურები

დროება, 1874 წელი:

ოზურგეთის მაზრაში უფრო ბევრი შკოლებია, თითქმის ოთხი

ფოტო: ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელი

იმდენი, რაც რაჭაშია...აქაური ხალხი უფრო თანამგრძნობია შკოლებისა, ვინემ სხვა მაზრების მცხოვრებნი.

გურიაში დიდი სურვილი აქვს ჩვენს საწყალ ხალხს სწავლის შეძენისა და განათლებისა. ამ ზაფხულის თვეშიაც, როცა ერთი მოზრდილი ბიჭი დღეში ერთი ოქრო ღირს მამას მაინც არ ენაღვლის ყმაწვილის სიარული სკოლაში დილიდან შუადღის გასვლამდის, რადგან კარგად უწყის, რომ ცოდნა სინათლეა“

ორკლასიანი სკოლები გაიხსნა ასევე სოფლებში: ნაგომარი, ხიდისთავი, ჩოჩხათი, ექადია. სკოლების რაოდენობით გურია სხვებზე წინა დგას, წერდა ჟურნალი „მწყემსი“ 1891 წელს. ყოველკვირეულ გაზეთ „კვალის“ ცნობით გურიაში 40-ზე მეტი სამონასტრო სკოლაა და 30-ზე მეტი სამრევლო.

გარდა ამისა, 1893 წლისთვის სამრევლო სკოლები იყო ლანჩხუთში, ვანში, ხიდისთავში, ქვენობანში, ხევში, გუთურში, იანეულში, საჯავახოში, სამებაში, ჭალა-საყდარში, დვაბზუში, ბოხვაურში, თავსურებში. 1889 წელს „ცნობის ფურცელი“ წერდა, რომ სამრევლო საეკლესიო სკოლების ზედამხედველის მოხსენების თანახმად აუცილებელი იყო სამრევლო სკოლათა რიცხვის ზრდა და მათი გახსნა სოფლებში ჭანიეთი, აჭი, კახური, ახალსოფელი, კვირიკეთი, მოედანი, ზედუბანი, გოგორეთი, ფამფალეთი, უჩხუბი, შუხუთი, გორისფერდი, ზემო ამაღლება. გარდა ამისა, საჭიროა წერა-კითხვის 8 სკოლა ოზურგეთის მაზრაშიო. ახალ სკოლებზე წლიურად 7555 მანეთი უნდა დახარჯულიყო.

1895 წლისთვის ოზურგეთის მაზრაში ათას ადამიანში 97% იყო წერა-კითხვის მცოდნე, მაშინ როცა რაჭის მაზრაში 82%, ქუთაისის მაზრაში 72%, შორაპნის მაზრაში 58%, ლეჩხუმის მაზრაში 55%.

იაკობ გოგებაშვილი: ივერია 1900, N118:

„მე ამ წლიდანვე ვიწყებ ხარჯის გაღებას და უკვე წარმოვუდგინე „წერა-კითხვის საზოგადოებას“ თხუთმეტი თუმანი (150 მანეთი) იმ აზრით, რომ მან ეს ფული ხუთ სამთუმნიამ პრემიად გაჰყოს და მისცეს პირველი პრემია სამაგალითო ხალხის მასწავლებელს გურიისა, რომელიც სამართლიანად უნდა ჩაითვალოს ჩვენში დაწინაურებულ კუთხედ სწავლა-განათლებაში.“

1907 წლისთვის, რეაქციის ხანაში, გურიაში 39 საერო სკოლა არსებობდა 8312 მოსწავლით. დემოკრატიული რესპუბლიკის დროს გურიაში სულ იყო 37 დაწყებითი, 8 შვიდწლიანი სკოლა და 1 გიმნაზია. სულ 2637 მოსწავლე და 122 მასწავლებელი.

ცნობილი პედაგოგები

გიგო შარაშიძე ყველაზე მეტად ცნობილია გურიის სკოლების პედაგოგებს შორის. ის 1869-74 წლებში ასწავლიდა ძიმითის (მამათის) სკოლაში, ხოლო 1874-1911 წლებში ბახვის სკოლაში. 1883-1994 წლებში მის მშობლიურ ასკანის სკოლაში ასწავლიდა ცნობილი მეღვინე სოლომონ ჭეიშვილი. ქართული მემარცხენე მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი ისიდორე რამიშვილი სურების სკოლაში ასწავლიდა. სკოლა მან თავად გახსნა 1887 წელს და 1893 წლამდე ასწავლიდა იქ.

საბჭოთა პერიოდი

1935 წლისთვის მახარაძის რაიონში გახსნილი იყო 18 ოთხწლედი, 7 არასრული საშუალო სკოლა, 2 საშუალო სკოლა, 2 ტექნიკუმი. სულ სწავლობდა 9886 მოსწავლე.

1937 წელს 73 სკოლაში იყო 12 222 მოსწავლე. 1951 წელს რაიონში იყო 15 საშუალო, 19 რვაწლიანი, 35 დაწყებითი, 1 მუშა ახალგაზრდობის, 1 მოზარდთა საშუალო სკოლაა. ასწავლიდა 755 მასწავლებელი.

1956 წელს რაიონში იყო საყოველთაო სწავლების 68 სკოლა, აქედან 18 საშუალო სასწავლებელი. სწავლობდა 10667 მოსწავლე, ასწავლიდა 863 პედაგოგი.

გურიისა და გურულების შესახებ

აპოლონ წულაძე:

„ბედაური მათრახს არ დაირტყამსო” და გურულიც ბედაურობას ცდილობდა. მათრახს გაურბოდა. მათრახდარტყმულს, ,,გაროზგილს”, პანღურნაკრავს თვალი არ ,,გაეჭყვირებოდა”, თავს შეაკლავდა, თუ ამ განსაცდელს ვერ აიშორებდა... გურულის ამაყობა, გურულის სიცოცხლე, თოფის წამალივით აფეთქება, მისი ,,უცფათ გაკუჭება” ანეგდოტათ იყო გავრცელებული... გურულს ახირებულათ ,,ღვთის წყალობასაც” ვერ შეკადრებდნენ. ვინც გურულის ამბავი იცოდა, მისი დიდი შიში და რიდიც ჰქონდა. ტყუილად და უმიზეზოთ კი არ იტყოდენ ,,გურიაში რა გინდოდა, თუ სიკვდილი არ გინდოდაო”. გურული უცხოს, სხვა მხრისას ვერ ეგუებოდა, ვერ ითვისებდა, პირიქით - ის სხვისაგან, უცხოსაგან მოითხოვდა შეგუებას და ხასიათის გასწორებას. ვისაც გურიაში დარჩენა უნდა, ის აუცილებლათ უნდა გაგურულდეს. თორემ მოსალოდნელია ,,გურიაში დატოვოს ტყავი”. ან გაგურულება, ან მშვიდობით წასვლა, ამ ორში ერთი აუცილებელია. ახალციხიდან ჩამოსულმა ფრანგმა ქართველებმა: თუმანიშვილებმა, კალატოზიშვილებმა, დემურისშვილებმა და სხვა... არამც თუ შვილებმა, არამედ თვით ჩამოსულებმა მოასწრეს გაგურულება. ასეთივე ბედი ეწიათ უფრო გადამთიელებს, ქართული ენის უცოდინარ ნიკოლოზ პირველის ჯარისკაც რუსებს... ერთი სოფელი იყო ქ. ოზურგეთის მახლობლათ ,,სლაბოდა”. მათ შვილებს გურულებისაგან მარტო გვარით განასხვავებ და მეტი ვერაფრით. ასე მოუვიდათ, აგრეთვე, ყველა ერებში, ყველაზე ჯიუტ ასიმილაციის (გადაგვარების) მოწინააღმდეგე ბერძნებსა და სომხებს. ეს მოვლენა, ჩემის რწმენით, იმის მღაღადებელია, რომ გურულ გლეხობას აქვს ,,ერთი კბილი და ერთი ღჯილი” - იცის ერთი მეორის აყოლა და სოლიდარობა.

მოსე გოგიბერიძე

ნიგოეთის ქედის სამხრეთით მოთავსებული მწვერვალიდან უნდა შეხედოს გურიას მარცხენა თვალმა, მარჯვენა კი ბახმაროს მაღალი გადმოსახედიდან უნდა გაუსწორდეს მარცხენას, რომ ადამიანის სულმა ქვეცნობიერად ამოიკითხოს გურიის ლანდშაფტის თავისებურება, აღმოჩნდება, რომ გურია არის მესხეთის დასავლეთი კალთა, რომლის ფუძე ჭოროხსა და რიონს შორის მდებარე რელიეფით შედის შავ ზღვაში, ხოლო მისი ზეგნის მწვერვალი, საყორნიას მთა ზეა მოთავსებული. აქ მოხაზული ლანდშაფტის სახე ერთ-ერთი ულამაზესია დედამიწის ზედაპირზე.

ვისაც სურს მთლად ჩაისუნთქოს ეს მშვენიერება, იგი ოზურგეთიდან ტალახას ძირში გავლით მთა და მთა, ქედ და ქედ უნდა ჩავიდეს ბათუმში, ანდა ზოტიყელის მაღალი მწვერვალიდან ზოტამდე უნდა ჩაუყვეს ზღვისპირიდან ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე მოთავსებულ გუბაზეულის, ბჟუჟის, ნატანებისა და სუფსის ჭალებს რათა იხილოს ეს უსასრულო, უბოლვადო და ამაღელვებელი რძის ზღვა, დიდებული სურათი მისი მთისა და ბარის წალკოტისა, სურათი მთებიდან მოწყვეტილი და ზღვისკენ მიმქროლავი მდინარეების შთამბეჭდავი მუსიკისა

გამოიცა გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის ფინანსური დახმარებით; საგაზეთო ჩანართში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს, მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის ოფიციალურ პოზიციას

British Embassy Tbilisi

UKaid from the British people

UNDP

Empowered lives. Resilient nations.